

რედაქცია:

მფლობელი, სსსსლის მუხა, სამთავრო-
მცნარე ქარხანა.

ხელის-მომწერი გაზეთის დასაკეთად მიმართვენ
რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და
სალამს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ-
სავალაუბრის“ წიგნის მაღაზიას.

ხელმოწერაჲ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლე-
ბა ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

ფუნდამენტი

ქოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი

ერთის წლით 6 მან., ნახევრის წლით 3 მან.,
თათო ნაშენი 3 მან.,
ფასი გვერდის მიხედვით.
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 4 კაპ.

Редакция

„ЦНОБИСЬ ПУРЦЕЛИ“

Тифлисть, Дворцовая д. Дворянства

Телефонъ № 363

საყურადღებოდ
საზოგადოების
ქართველ




ახლად გასხნილი
სტამბა
„ცნობის ფურცლისა“
(ვ. გუნიასი)

ტფილისი, სსსსლას ქუჩა, სათავად-ზნაურთა ქარხანაში № 119, 120 და 121.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროცენტის მუხრებზეა შეკეთება; მსურველნი მიმართვენ ხელ-
ნაწერების აწკობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ვნის შესწორებას, საცნობროდან ნებართვის აღებას და სხ.
საღმასაღასოდ — საიზიტო ბარათები სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჭებისა და ქაღალდისთვის აიჭად და შინაასანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ ТИПОГРАФИИ „ЦНОБИСЬ ПУРЦЕЛИ“
(В. Л. Гуниа)

Исполняют всевозможные заказы на всехъ Грузинскихъ и Европейскихъ языкахъ.
Дешевизна, изящество и быстрота исполнения.



წიგნის მაღაზია მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „გლმის“ ამხანაგობისა)

გაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **დ. შვი-
რილაში**, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და სავანკელთა ნივთიერი ნაწილისა

მაღაზიაში გვაქვს ყოველ-გვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვა-
ნელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას.
ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც

ამ მოკლე ხანში მაღაზიასთან გავხსენით **წიგნების სააჯამო სახე-
ლოსნოს**, სადაც დამზადდება წიგნები სუფთად, სწრაფად და იაფად.
სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რეკლამები და სხ. დაეთ-
მობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლია მოგვმართოს შემდეგის ადრესით:
Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (10—1)



ვყიდულოც ცოცხლებად

კაეკასიის გარეულ ცხოველებს

ირმებს, ჯეანებს, გარეულ თხებს, შურთებს,
ჯახებს, ვეფხვებს, ანწებს, ანწებს, ფოცხვე-
რებს, გარეულ გარებს, ჯორ-ცხებს და სხ.

საჭიროა აგრეთვე გარეული ფრინვე-
ლები: თურაჯები, ხობები, გარეული ბატები და სხვა.

მსურველთ მიმართონ ზირადად ან წერიათ მიხეილის ქუჩაზე № 106,
ქოში: ბარამიას სხ. **ჰუმო ვინაღის**
Тифлисть, Михайловская, № 106, Гуго Винклеру. (12—3)

„ალმოსავლეთის მაღაზია“ იოსებ მერკვილაძისა

ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.

ხელ-ახლად მივიღეთ საუცხოვო: ამერული, მეგრული, დაგორუ-
ლი და ლეკური **შალავი**, **საპახევა** და **საჩოხევა**.
აქვე **ნაბღები ქალისა** და **ქაძინა**, **ჩაბადახევა**, **ქაძარ-ხანჯა-
ლა**, მრავალი სხვა-და-სხვა **დანები**, **თუშური ნაბღის მუღე-
ბი** და სხვა სამკაული.

მადახაას აქვს
სამედიტო ქართული (იმერული) ტანსაცმლის სამეგრელო
ფასი ყოველიფერზე ზომიერი და დაკლებულია. (20—9)

„ბავშვების მოკეთის“ შესახებ.

აუარბელი გამამხნეველი წერილები
მშობლებისა და მასწავლებლებისა და მა-
მარჯვედ ყოღვა ამ წიგნისა მიიძღლებენ
მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ
ყველას, ვისაც-კი გული ერჯის სამშობ-
ლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის,
მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი
და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყვე-
ლა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძ-
ლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის
ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთის“ მოწინავეა და სახელმძღვანელო დადუ-
ბულია მთავრობას მაერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში. — სოფლის მასწავ-
ლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უფლო 20 კაპ., ყლიანი 25 კაპ.,
თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисть. Типография Хеладзе, для передачи учителю Наталде.
(50—2) პატივისცემით ალ. ნათაძე.

გვავრთა საშუალებოდ. მარტას 5-დან გააღება ახლად გაწყობილი

სლავიანის სასტუმრო

შუა ბაზრის მახლობლად, ორბელიანის
უბნის ბოლოს, სადაც წინად „მუსიკალუ-
რი საზოგადოება“ იყო.

მშვენიერად გაწყობილი და მორ-
თული ოთახები
მალალი, მშრალი, სინათლიანი და
მყუდრო.

ფასა: დღიურად 50 კ. 5 მანეთა-
მდე. თვიურად 10 მ. 50 მანეთა-
მდე.

СЛАВЯНСКАЯ ГОСТИНИЦА
домъ армянской семинарии, на Салд.
базарѣ.
Чистота и дешевизна.
პატივისცემით დამატრა ხუნდაძე
(30 - 19)

სამეურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი


ქუთაისში.
სამეურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის. მიიღებინ ავადმყოფ-
ნი: შინაგანსა, ნერვების, საქარურ-
გო, თვალისა და ღებათა ავადმყოფ-
ობისასა.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მი-
იღებინ:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდან ნაშუადღევს 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თო-
ფურია**. საქარურგო ავადმყოფობას
და სიფილისს **ვ. პ. ბერაბაძი**.
დღეათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი **მ. თ. კობანი**.

20 მაისიდან — დღეათა ავადმყოფო- ბის და აკუსერობის D-r ჟ. ბა- ცაშვილი.

თვალების ავადმყოფობას — **ი. ქ.
პარაშასკი**.
ამბულატორიაში არის კაბინეტი,
საექიმო და საბაქტერიოლოგო
გამოკვლევისმათვის, ლექტორით
წამლობისთვისაე და საეისთვის.
სამეურნალო ღირეკტორი **ს. ბ. თო-
ფურია**.

Ливъ-буца С. В. Тонурія въ Кутаисѣ.
ახალი ამბაში
* * * იღათ ჭკვეჭკვემისათვის დამ-
წადებული მისალოცი ბარათი, ჩვენა
ენახეთ მისალოცი ბარათი დამზა-



დებული თავ. ილია ქავჭავაძის იმ პატივცემულთა მიერ, რომლებიც ოდესაში სცხოვრობენ. მისალოცი ბარათი მშვენიერს ყდაშია გაკეთებული. ყდაზედ თ. ილიას ვენზელია.

ოღესიდან წარმომადგენლები იქმნებიან: ს. ვიმ. ლორთქიფანიძე, ბ. იოსებ ოცხელი, თ. კონ. ამირაჯიბი და კიტა აბაშიძე.

*** თავ. ილია ქავჭავაძის მოღვაწეობას წაგვახსენებთ. ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქუთაისში მცხოვრებ — იმ ქალთ, ვინც პატივს სცემენ თავ. ილია ქავჭავაძის ნიქს, გამოუწერიათ მოსკოვიდან თავ. ილია ქავჭავაძისათვის მისართმევად ვერცხლის ლირა.

წარმომადგენელად იქმნებიან: კნ. გუგუნიასი, ფალავასი და კნ. გარეკელისა.

*** თავად-ახსნაურთა მადლგვა. ვგზარხოსი ფლაბიანე მიიღებს მილოცვას ტფილისის გუბერნიის თავად-ახსნაურობისას 12 ამა აბრილს 1 1/2 საათზედ ნაშუადღევს.

*** წესება ყვავილების საგზაფხულად გამოფენისა და სახალისო ნაწარმოებთა კერძო გამოფენებას 19 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე ა) ყვავილების საგზაფხულად გამოფენა. 1. გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა მსურველთ, როგორც ბაღოსნებს, ისე ბაღოსნობის მოყვარულთ უფასოდ.

2. განცხადება გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ შეიძლება წერილობით და სიტყვიერად რაც შეიძლება დროზე, მაგრამ არა უგვიანეს გამოფენის წინა დღისა.

3. ექსპონატები (გამოსაფენი ნაწარმოები) მიიღება გამოფენაზე გამოფენის გამართვის დღის 11 საათამდე და დაილაგება დათმობილ ადგილზე თვით ექსპონატთაგან (ნაწარმოების წარმომადგენელთაგან) მათი სურვილისამებრ.

4. გამოფენის მეორე დღეს გამართება ყვავილთა დღესასწაული, რომელშიაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, როგორც განყოფილების წევრთ და ექსპონატებს, ისე გარეშე პირთაც ხელის მოწერით.

5. ყვავილების გამოფენა და ყვავილთა დღესასწაული გამართულ იქნება 1 და 15 მაისს შუა; გამოფენილ იქნება ყოველგვარი ყვავილი და ნაწარმოები, რომელსაც-კი მოისურვებენ ექსპონატები.

6. განყოფილების-მიერ დანიშნულია ყვავილებზე საგანგებო კონკურსისათვის შემდეგს ჯილდოებს: 1) 50 საუკეთესო და ლამაზი ჯიშის ვარდებისათვის (ნამდვილი სახელებით, თვითიული ჯიში არა ნაკლებ ორი ცალისა) 1 დიდი ვერცხლის მენდალი და 1 პატარა ვერცხლის მენდალი; 2) გრძელ ღეროან საუკეთესო ყვავილებისათვის ნამდვილი სახელებით, შერჩეულ ჯიშის მკენარეთათვის ექსპონენტის სურვილისამებრ 1 დიდი ვერცხლის მენდალი და 1 პატარა ვერცხლის მენდალი; 3) საუკეთესო საზოგადოლო ყვავილოვან მკენარეთათვის ქონებში, არა ნაკლებ 10 ჯიშისა და არა

ნაკლებ 50 ქონისა, ნამდვილი სახელებით 1 დიდი ვერცხლის მენდალი და 1 პატარა ვერცხლის მენდალი.

7. გამოფენილ ნაწარმოებისა და ცოცხალ ყვავილების დეკორაციისათვის განყოფილების მიერ დანიშნულია — 1 პატარა ვერცხლის მენდალი, 1 დიდი ვერცხლის მენდალი, 2 პატარა ვერცხლის მენდალი, 4 ბრინჯაოს მენდალი და რიცხვით განუსაზღვრელი ქებითი მოხსენება. პატარა ოქროს მენდალი და დიდი ვერცხლის მენდალი დანიშნულია ჯილდოდ შემდეგი კონკურსის შესრულებისათვის: ა) დეკორაცია; 1) სასადილო სუფრისა, 2) სასტუმრო ოთახის კუთხისა და ჯგუფისა და 3) ეტლისა; ბ) ყვავილის ნაწარმოები: 1) ჩანგი, 2) ბალიში, 3) ცოცხალი ყვავილების გვირგვინი, 4) უყვავილო მწვანეულის გვირგვინი, 5) გვირგვინი — კომპოზიცია; 6) ცოცხალი ყვავილებით ნაწნავი კალათი, 7) საქორწინო თეთრი თაიგული, 8) მისალოცავი ყვავილების თაიგული, 9) ექსპონენტის კომპოზიცია და 10) გაუშლელ ყვავილების თაიგული. ვინც მხოლოდ ამ პროგრამის ნაწილს ასსრულებს, სას მიეცემა არა უმეტეს ერთი ვერცხლის მენდლისა. ექსპონენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ექსპონატები კონკურსის პროგრამის ნომრებზე. უმაღლეს ჯილდოს მიიღებენ ის ექსპონენტები, რომლებიც ნაწარმოები ცნობილ იქნება საუკეთესოდ სხვების ნაწარმოებთან შედარებით.

8. გამოფენის დროს გამართება კონკურსი საუკეთესო თაიგულების გაკეთებაზე, რომელშიაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ყველა მსურველთ; თაიგულების გაკეთება შეიძლება, როგორც ბაღოსნების, ისე ველის ყვავილებით. ამ კონკურსზე დანიშნულია 1 დიდი, 1 პატარა ვერცხლის, 5 ბრინჯაოს მენდალი და რიცხვით განუსაზღვრელ ქებითი მოხსენება.

9. 7 და 8 წესებში ნაჩვენებ ნაწარმოებისა და თაიგულებისათვის მსურველთ შეუძლიათ იხმარონ, როგორც თავისი, ისე ნაყიდი ყვავილები; ექსპონენტებში (შემოწმებაში) შეუძლია საზოგადოებას მონაწილეობის მიღება ხმის უმეტესობით.

10. ექსპონენტისა უფლება აქვს დაუნიშნოს პრემია იმ ექსპონატებს, რომლებსაც არ შეეხება კონკურსის პირობები, თუ იმას იგი საჭიროდ სცნობს.

11. კერძო გამოფენებისა და ბოსტნეულის გამოფენა დაიწყება 19 აპრილიდან და გასტანს 1-ლ ოქტომბრამდე, ყოველ კვირა დღეს შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე; საუკეთესო გამოფენილ ნაწარმოებისათვის დანიშნება ჯილდო დიდ ვერცხლის მენდლამდე. იმ ექსპონენტებს, რომლებიც თავისს ანუ სხვის ნაწარმოებს რამდენიმე გამოფენის განმავლობაში გამოაფენენ, უკანასკნელ კერძო გამოფენაზე საქსპერტიზო კომისიას შეუძლია მოუმატოს დანიშნული ჯილდო ერთი ხარისხით, ე. ი. პატარა ოქროს მენდლამდე.

12. ნაყოფებისა და ბოსტნეუ-

ლობის გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო დანიშნება ყველაზე უფრო სრულ ასორტიმენტებს, რომლებსაც ნამდვილი სახელები ექნებათ სხვა და სხვა სამრეწველო ჯიშისათვის, განსაკუთრებით იმ ჯიშთათვის, რომლებიც კავკასიისათვის ახლები, კარგად ნაგვარევი და კარგი ღირსების იქნებიან; ამასთანავე უნდა წარმოადგინონ იქმნეს დიდი ნაყოფები და ბოსტნეულობა. თვითიული ჯიში არა ნაკლებ 10 ცალისა და წვრილი ნაყოფები და ბოსტნეულობა არა ნაკლებ 1 გირვანქისა. ყვავილთა დღესასწაულის გამგებად ამორჩეულნი არიან კ. პ. კვეცი, ა. ა. გინცენბერგი და ა. ე. ვასილიევი.

21 მარტს 1888 წ. თავის სხდომაზე განყოფილებამ 1898 წლის კერძო გამოფენების შესახებ დაადგინა შემდეგი: 1) მიღებულ იქმნეს კერძო გამოფენებზე უმაღლეს ჯილდოდ — ვერცხლის მენდალი; 2) გამოფენილ საგნებისათვის სხდომის დროს დადგენილ იქნეს ოქმებში დასკვნები, ხოლო წლის გასულს, ამ დასკვნების თანახმად, დანიშნულ იქნეს ერთი საზოგადო ჯილდო ექსპონატის მიერ წლის განმავლობაში გამოფენილ ექსპონატებისათვის; 3) დანიშნულ იქნეს იმ საგნების დაჯილდოება, რომლებიც გამოფენილ იქნება განყოფილების სხდომებზე იმავე წესით. ექსპონატები უნდა გაგზავნილი იქნეს გამოფენისათვის შემდეგი ადრესით: Тифлисть, Кавказская шелководственная станция, бюро кавказскаго отдѣла Императорскаго Россійскаго Общества Садоводства.

*** ფულას დაკარგვა. ორშაბათს, 6 აპრილს, ავღაბრის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, საფლავების კურთხევის დროს ნორიელ გლეხს, გვარად გოდერძიშვილს, ვიღამაც ჯიბიდან ამოაცალა 23 მან. საწყალს თურმე შაბათ დღეს სოფლიდან კამბეჩები ჩამოეყვანა და გაეყიდნა, რალაც მიზეზისა გამო შინ აღარ წასულა და იმ დღეს სასაფლაოზე წასულიყო საყურებლად. აი ამ დროს უბედურს ჯიბიდან ამოაცალეს 23 მანეთი. შემდეგ ბევრი იცა თავში, მაგრამ რალა ეშველებოდა, საქმე გვიან-ლა იყო. ძებნითაც ბევრი ეძება, მაგრამ ვილა გამოუჩინდა! ადგა დაღონებულ-დამძარბული და სადღაც წავიდა.

სწორედ უნდა ვსთქვათ, რომ ყველგან, სადაც-კი ხალხი თავს იყრის, ხომ არ შეიძლება ჯიბის ოსტატებიც იქვე არ გაჩნდნენ. ამიტომ საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ასეთს შემთხვევებს.

*** ავღაბრის საქათხველას შესახებ. ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულ გაზ. „ცხომის ფურცლის“ 498 №-ში დასტამბული არის წერილი ბ. ზ. ჩ.-ისა შემდეგი სათაურით: „ავღაბრის სამკითხველო“, რომელშიაც ავტორი ამბობს, რომ სამკითხველო მუდამ ეამს კარ დახურული არის და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც უსაყვედურებს, რალათ დაგვიარსეთ სამკითხველო, თუ კი ვერვისარგებლებთ მითო. ბ-ნის ზ. ჩ.-ის შენიშვნა-

სიმართლეს მოკლებულია, ამას თვით მოსიარულე მკითხველებიც დამიმოწმებენ. ხოლო რაც შეეხება წარწერას გაზეთების დამტარებლის საყურადღებოდ, ეს წარწერა, მართალია მოქმედობდა, მაგრამ მხოლოდ 15 იანვრამდე, რადგანაც ჯერ სამკითხველოში არ ვიყავი დაბინავებული და მედუქნესთან სტოვებდნენ გაზეთებს, რომ ჩემს მოსვლამდინ არ დაკარგულიყო. მას შემდეგ კი თუ ამ წარწერას უმოქმედნია, ჰკითხოს ბ. ზ. ჩ.-მა გაზეთების დამტარებლებს. რაც შეეხება 27 მარტს მომხდარ შემთხვევას, რომ ბ-ნ. ჩ.-ს სამკითხველო ღია არ დახვედრია, ეს მისი საათის ბრალია, რომელსაც მოუტყუებია თავისი პატრონი და თავის დროზე არ მოუყვანია სამკითხველოში.

ავღაბრის სამკითხველოს ბიბლიოტეკარი დ. სხირტლაძე

*** მადლობას გამოცხადება. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულს გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პატივცემულ პირთ, რომლებიც ხელს გვიწყობენ სუფსის სამრეწველო სკოლის წარმატების გაზრდელ დაყენებაში: კნენია კ. გერისთავისას აბაშიძის ასულს, რომელმაც იკისრა ერთი ღარიბი მოწაფის თავის ხარჯზედ აღზრდა, ფერშალს მელ. მ. ფარეიშვილს, რომელმაც აღგვიტქვა და კიდევ ასრულებს თავის დანაპირებს: უსასყიდლოთ სწამლობს სკოლის მოწაფეებს და აგრეთვე შემოსწირა სკოლას ქართული მოძრავი ასოები, ბ-ნს სუფსის ბოქაულს სკორიკოს (ალ სკორიკოვ), რომელიც დიდს ყურადღებას გვაქცევს ყოველის მხრით და რომელიც შემოსწირა სამოსწავლო წიგნები, ღირებული ხუთ მანეთად, ბათომის ცნობილ „კანდიტერს“ გერასიმე ყოყიკაიშვილს, რომელმაც ზიარების დროს გამოგვიგზავნა 40 სეფისკვერი მოწაფეთათვის, ქუთაისის სამეურნეო სკოლის და სოხუმის საცდელ მინდვრის მმართველთ ნერგების შემოწირვისათვის, იმ პირთ, რომელთაც ბურთი უყიდეს მოწაფეებს; დასასრულს, დიდს მადლობასვე ვწირავთ პატივცემულ იოსებ ს—ძე ძნელაძეს „ჯეჯილის“ დაკვეთისათვის.

სუფსის სამრეწველო სკოლის მმართველი მლ. ბართ. ჩხარტიშვილი, მზრუნველი ბედია კობახიძე, მასწავლებელი ა. წულაძე

*** ს. მარმლისი (თიანეთის მზრა.) აშაყას დასჯა. აქ ერთი ამბავი მოხდა, რამაც მთელი სოფელი ააღელვა და ალაპარაკა. თითიკო ტურაშვილისამ დაბაჩით დასქრა თავისივე მეზობელი შაქრო ტურაშვილი, რომლებიც შეყვარებულნი ყოფილან, თურმე საქმე ყოფილა ასე: ღამე მარტის ოცს შაქრო მისულა ჩვეულებისამებრ თითიკოსთან და კარები დაუურაკუნებია, რათა გაუღოს და თავისთან შეუშვას. თითიკოს კარები არ გაუღია და რამდენჯერმე გასჯავრებია, თურმე, რომ თავი დაენებებინა და წასულიყო; მაგრამ შაქრო მაინც არ მოშორებია და ძალით მოენდომებინა სახლში შესვლა. თითიკოს რომ ვერაფერი

ვერ გაეწყო, ამდგარიყო და დაბაჩა გაეტენა საფანტო და გაჩერებულ კარებიდან გაეყო დაბაჩის ტუჩი. დაბაჩმა ხელს ტუჩის დასრულს და ესრულა. დასრულდა მთხვედრილი აქვს სასირცხო აღვილებში, და როგორც ექიმს შეუმოწმებია ქრილობა, თურმე, საშიშოა.

იგივე

*** დ. ხონი. ვაღაა ექამა. დ. ხონში მცხოვრებ გლეხთა საშუალებით აუარებელი მუქთა ხორა ვაებატონები ინახავენ თავს, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა ერთი გლეხი ქ ია, რომელსაც მუშაობაზე ხელი აუღია და დაუწყია ექიმობა, თუმცა სრულიად არა გაეგება-რა მისი. ეს ვაებატონი ყოველ-დღე დილიდან საღამომდის დადის ბაზარში და თუ შეხვდა ვინმე ექიმის მამებარი, მაშინვე გადაეღობება წინ და აწოდებს თავისს წამალს ავადმყოფისათვის. რა თქმა უნდა, წამალი შესაფერისი ნივთიერებისაგან არ არის შეზავებული და არც მარგებელი სნეულისათვის, მაგრამ გლეხი უჯერებს და მიაქვს ეს წამალი შინ. აი, ამგვარად მოტყუებით ძარცვა — აი რა გაუხდია ცხოვრების მიზნად ამ „ექიმს“! თუმცა ბოლო დროს გაუგეს მას ამგვარი სიყალბე, მაგრამ მაინც თავიდან ვერ იცილებენ მას. ქ — იამ თავისი შეუფერებელი წამლობით ბევრ ავადმყოფს მოუღო ბოლო უდროით (რის დასამტკიცებლად, თუ საქორა იქნება, აუარებელ მაგალითებს მოვიყვანთ), ამისათვის გულ-წრფელად ვურჩევთ ბ. ქ — იას ხელი აიღოს ექიმობაზე და ისევ მამა-პაპური შრომით ირჩინოს თავი... მეზობელი

*** ბათომი. მეგრული ხორის კონსერვა. კვირას, 28 მარტს, ქართული სკოლის დარბაზში ბ. ლოლუას ლობტარობით მეგრული ხორის გამართა გურულ-მეგრული სიმღერების კონცერტი. შემოსავლის ნახევარი ნაწილი ამავე სკოლის სასარგებლოთ იყო დანიშნული, რომლის ანგარიშსაც, იმედია, ვისიც რიგია, წარმოადგენენ. მე მხოლოდ არ შემიძლია შეუნიშნავათ დავსტოვო ის ღირს შესანიშნავი კონცერტი. ხორა განცხადებებში ისეთ გურულ ხმებს გვპირდებოდა სამღერლად, რომლებსაც გურულ სიმღერებში პირველი ადგილი უჭირავს და რომლის მოსმენაც მკოდნე კაცისაგან მართლაც, რომ სასიამოვნოა, — მაგ.: „შავი შაში“, „ხელ-ხევი“, „ხასან ბეგური“, „პატარა საყვარელი“, „ალი ფაშა“, „ფერად შინდი“ და „ვნახოთ მოსული“-ს ხმა. ეს ხმები გურიაში უპირველეს ხმებათ ითვლება და საზოგადოებაც მოუთმენლად ელოდებოდა მათ მოსმენას. მოისმა მეორე ოთახიდან გურული „დილა ოდელა“ და გამოვიდა სცენაზედ 10 ჩოხოსანი ახალგაზდა და ჩამოყვენ რიგ რიგათ სიმღერებს, მაგრამ რა? ისა, რომ იმედები გავიცრუვდა. მეგრული ხმები ორი სამი და მათ შორის „უჩხა ბენიერი“ გვირანნი იყო, ხოლო რაც შეეხება გურულს-კი ნამდვი-

ლი „კვარტეტი“ გამოდგა, მაკ.: „შავი შაშვი“, ეს ხმა მარტომით წაგავდა ნამდვილს, რომ შიგ სათქმელი სიტყვები, ისიც არეულარევიტ გვეხმობდა. „ხელ ხევე“ ის ითქმის, რომ ხოროს ერთხელ გაუგონია „ხელ ხევი“, ისიც უცოდინარისაგან, ბოლო ამ ხელ ხევისა გადა-ალი ფაშე-ბული. „ფერად შინდი“ მოსაწყენი რამ იყო და ვერ აბოლავებდნენ ისე, როგორც წესია. სულ არ ეტყობოდა შიგ ის, რაც ამ სიმღერას ამშვენებს, ე. ი. შუაზედ, როცა ორი ხმა პირველი და მოახილი ერთმანეთს გამოეჯიბრებიან და მერმე შესწყდებიან. მეგრული კილოები ზოგ-ზოგი გვარიანი იყო, როგორც ზევით ვსთქვით, მაგრამ ფერხული და ზედ „ძაბრა, ძაბრა“ კი ვერაფერი მოსაწონი იყო. ჩონგური, რომელსაც ერთი მათგანი უკრავდა „დემიანის თევზის წვენს“ მოგაგონებდათ. ჩვენში იტყვიან: „ულურელიმ აასვენა და აღარ დაასვენა“, სწორეთ ასე მოუვიდა მეჩენგურსაც.

საზოგადოთ ბათომში ამ გვარ კონცერტებს დიდ-ძალი ხალხი დაესწრობა, თუ რომ დანამდვილებით იციან, რომ ამ შესანიშნავ ხმებს მცოდნე კაცის პირისაგან მოისმენენ. ბ. ლოლუაზედ ეს ითქმის, რომ სიმღერების მოტრფილე უნდა იყოს და კიდევაც შეუძლია ეს ხმები ისწავლოს, მხოლოდ ჯერ-ჯერობით-კი სიტყუე იქნება რომ ვსთქვა, იცისო. ამასაც შევნიშნავ, რომ საზოგადოთ, გურული სიმღერები სცენებზედ დაბლათ უნდა იმღერონ. თორემ ქუაყი გამოვა. თანაც ძალიან გარანდულ ვაშალაშინებული თუ არ აქვს კაცს ეს ხმები, საშუამო გასაგონათაც შეაძლებს მსმენელს ამას. თუ რომ ამ საღამოს უცნობი ვინმე დაგვეწერა, ჯერ არ მომსმენი გურული სიმღერებისა, თქვენს მტერს, ცუდი აზრი შეადგინოს საზოგადოთ გურულ სიმღერაზედ, რომელიც საქართველოში, თუ თავხედობა არ იქნება ჩემი მხრით, კარგ სიმღერათ ითვლება.

აკარელი ხასანაი

*** * * დ. ხაშური. ქურდობა.** ორ აპრილს, ღამით, გაქურდეს ხაშურში დროებით მცხოვრები ფოსტალიონი კაკაბაძე. იმ ღამეს კაკაბაძე აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში იმყოფებოდა სამსახურის ასასრულებლად. მეორე დღეს დილით აღრე მისულა სახლში და სახლის კარები ღია დახვედრია; შესულა შიგ. მაგრამ სახლში აღარაფერი დახვედრია, გარდა ერთის მუთაქისა და ბალიშისა. გარეთ, სახლის გვერდზე, თავისი ჩემოდანი უპოვნია გატეხილი. ეს ამბავი მაშინვე ადგილობრივ მამასახლისს აცნობეს. დაკარგულია ქვეშაგები და ტანისამოსი, რომლებიც, დამკარგველის სიტყვით, სამ თუმნად ღირდა. მამასახლისი მაშინვე შეუდგა ქურდის ძებნას.

ვერ-მიცანი

*** * * თელავი. ჩანჩ-მეგახსუკო ოანუბა.** დადგება თუ არა ვახაფხული, გლეხები მოაწყდებიან ხოლმე თელაველ მეფახშეებს ფულის სასესხებლად იმ პირობით, რომ

მიჰყიდონ მევალეს თავის მოსავლიდან ღვინო არა ნაკლებ ათი საპალონისა, ე. ი. „დაუგირავონ ვენახი“. ამას არა სჯერდებიან მევენახეები და ნელ-ნელა იგდებენ ხელში აბრეშუმის საქმესაც: აძლევენ ხალხს აბრეშუმის თესლს მოსავლის მესამედში და შემდეგ ყიდულობენ მათგან ჩაღის ფასად დანარჩენ ორ მესამედსაც, რომელიც გლეხს სხვაგან ვერსად გაუყიდნია. თუ რამდენად ზნე-საყრელია მევენახისათვის ასეთი პირობა. ეს შემდეგიდან სჩანს: აძლევენ თვითველს გლეხს 40 კაპ. თესლს, ხოლო მოსავლის მესამედ ნაწილად ართმევენ მას თუმნიანებს.

სხვათა შორის კიდევ ვენახის წამლობით ხვრახებენ ჩარჩები ჯიბის გასქელებას. ზოგიერთს სოფლებში გლეხები დარწმუნდნენ, რომ ვენახების წამლობა სასარგებლოა და ეს რამდენიმე ხანია დაიწყეს ვენახის წამლობის მცოდნე პირთა ძებნა. ამ გარემოებით ისარგებლეს ჩარჩებმა, გამოიწერეს აპარატები, დაიწყეს ვენახების წამლობა და სასყიდლად ახდევინებენ... ნახევარ მოსავალს.

*** * * დ. ოჩამჩირა (ახვანთი).** ბასრბაბა საგაჭრაო მოკლანუბა საჭარაო. სოფლიდან ჩამოტანილ სანაგავს, მხოლოდ ორი-სამი დუქანი ჰყიდულობს, რომელიც ქუჩების მოსახვევში არიან მოქცეულნი და მერე ისინი მამასახლად აძლევენ დანარჩენ იაფად ნაყიდ საქონელს. ოჩამჩირეს გარდა არსად არ არის ასე. ის კი არა, მაგალითად, სოხუმში 1 საათამდი მეღუქნეს არ შეუძლია გასასყიდათ სოფლიდან ჩამოტანილი რამე იყიდოს, მხოლოდ 1 საათამდი მცხოვრებნი ინაწილებენ, რაც საქირაო მათთვის და თუ რამე გადარჩა 1 საათის მერე ჰყიდულობს. თუ მაინც და მაინც ასეთი განკარგულების ღირსი არავართ, სასურველია, ბაზრობა მაინც სავაჭრო მოკლანუბაიმართოს, სადაც ყველას შეეძლება საქირაო სანაგავის შექმნა და სადაც არც მყიდველი და არც გამყიდველი იმდენად არ იზარალებს, რამდენად ესლა. იმედია, აწი მაინც მი აქცევენ ამ დაბერებულ ნაკლს ყურადღებას და შესაფერ განკარგულებას მოახდენენ.

უგანათლებულესას თავადის პეტრე გრუხასასკას მამბაშხაბა. 24 მარტს აქ მობრძანდა სოხუმიდან უგანათლებულესი თავადი პეტრე ალექსანდრეს ძე გრუხინსკი. მათი უგანათლებულესობა სოხუმიდან ეტლით მობრძანდა ოჩამჩირეში და ოჩამჩირედანაც ცხენით გაემგზავრა ს. აჩიგვარამდე (სამურზაყანოში) და ამით დაათვალიერა უმთავრესი ადგილები სოხუმ-ზუგდიდის გზა ტყეცილისა, რომლის დამთავრებას არა ეშველარა. დღეის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დამთავრებულ იქნება ეს ერთათ ერთი მთავარი ძარღვი აფხაზეთისა, რომლის დამუშავება დიდად საქირაო ყველასათვის. მისი უგანათლებულესობა 5 დღე დარჩა ოჩამჩირეში და 29 მარტს სოხუმში წაბრძანდა. მას თან ახლდა სოხუმის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ბრაკკერი.

ხორშელი

*** * * დ. შიბიშრა. (იმერეთი.)** არა მკემა გასასაგუგარა საგუდალა. ამ წლის პირველ თებერვალს მღვიმის ქალაში, ქიათურის თავზე ნახეს ერთი მკვდარი კაცი, შავი ქვის მუშა, დ. ხონის მცხოვრები, ბარამიძე. ზოგი ამბობდა, საცოდავს ავი ზნე სქირდა, ალბად დღეში დამართნია იგი, მშველელი აღარავინ ამოჩენია და დახრჩობილაო. ზოგი ამბობდა, მუშაობის ბასუხის გების ასაშორებლად მადნის მეპატრონეს ჩუმთა გამოუპარებია ღამით, დღეში ჩაუგდიაო და სხვა... ამავე წლის პირველ მარტს კიდევ ნახეს ერთი მკვდარი მუშა, კობოზული გლეხი, სილაში ჩაფლული; პოლიციამ გამოიძია ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ საცოდავი მუშა „ტაჩია“ შავი ქვის მიწას ეზიდებოდა ქვის მწარმოებლის ბ. ილიარიონ გამყრელიძის ადგილში. „ტაჩია“ გადაუვარდა კლდეზედ და თითონაც თან გადაჰყვა. „ამას ამბობენ გამყრელიძის ნოქარი კ. ყიფიანი და მკვდრის ამხანაგები“; თუ რამდენად მართალია ეს არავინ იცის... ასეთი შემთხვევები ხშირათ ხდება ქიათურაში და ბევრი საცოდავი წვრილი ცოლშვილის პატრონი გლეხ-კაცობა მოულოდნელად ესაღმება წუთი სოფელს. საქირაო ამ გარამოგებას ყურადღება მიექცეს.

— **ჭაბოჭან „შოსადა“.** ეს მეორე თვეა ქიათურის არე-მარეს ზომავს ინტენერნი იმის გასაგებად, თუ რამდენი დესეტინა ადგილი ექმნება ქიათურას, რომ ჰოსადად გადაკეთდეს. თუ ქიათურას მეზობელი სოფლები არ მიაკერეს, ამ დამას არ მოეგება ჰოსადის შესაფერისი ადგილები. ჩვენ ყოველ შემთხვევაში უსურვებთ ამ საქმეს წარმატებას, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ინტენერი აქ ცხოვრობს ადგილობრივი საზოგადოების ხარჯზედ; მისთვის ფულსაც კრებავენ ამ ქესატობაში რის ვივავლანით, და ვაი თუ ტყვილათ ჩაიაროს შრომამ და ხარჯმა.

ჭუღა გუბია. არც ერთს შავი ქვის სოფელს გზა არ უფარგარომ ქიათურის „პლატფორმებზე“ უშიშრად ქვა ჩამოიტანოს კაცმა; საურმე გზა ხომ სულ არ არის; ქვა დააქვთ ცხენებით, მაგრამ კვირა ისე არ გაივლის, რომ ორი სამი ცხენი არ გადმოუვარდეთ ჩაღვადრებს დაარდამტყრეთ. იქნებ გაიკვიროთ, რად ზიდვენ ქვას ამ საშიშარ გზებზეო? მაშ რა ქნას სოფლის ხალხმა, რით იშოვნონ ორიოდ გროში, რით დააკაყოფილონ თავის ოჯახის მოთხოვნილება, სახელმწიფო გადასახადები და სხვა... ნეტავი მოვესწრებოდეთ იმ დროს, რომ დაუშარცხებლად და უშიშრად შეეძლოს ხალხს სიარული ამ ხრიკ-წრიაბ გზებზე.

— **უძღვალაობა.** მკითხველებმა კარგად იციან, რომ ქიათურელებს საყდარი არ აქვთ და ვგონებ ვერც ელიროსონ, თუ მარჯვედ არ იქმნებიან. რაკი საყდარი არ არის, არც საკუთარი მღვდელი და მედავითნე ჰყავთ. დიდი გაქირვების დროს მახლობელ სოფლის მღვდლებს მიმართვენ ხოლმე; ამ უკანასკნელებს ცილობა აქვთ ერთმანეთში

არა მე მეკუთვნის ქიათურა მრეველად და არა მეო და სხვა; ვის დაუჯერონ, ან ვის მიმართონ თითქმის თავად არ იციან. ამოდენა მართლ-მადიდებელი ხალხი უმღვდლოდ და უეკლესიოდ არის; გასაკვირველია, რათ არ აქცევენ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს...

— **ადგალას შეწარგა.** ამ წლის მარტის 5—6 ქიათურის სამრევლო სკოლაში მობრძანდნენ სარევიზიონ იმერეთის ეპარქიის სკოლების უფროსი მ. მელიტონ კელენჯერიძე და მისი თანა შემწე შორაპნის მაზრის სკოლების მეთვალყურე მ. იაკინთე გიორგაძე, რომელნიც დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ მოწაფეების წარმატებით. მადლობის ღირსია ამ სკოლის მასწავლებელი ბ. ბესარიონ ვაშაძე, რომელიც ძალიან ბეჯითად და სინიდისიერათ ასრულებს თავის დანიშნულებას; ვატყობთ, რომ სწორეთ აგვისრულდა ის იმედი, რის მომლოდინეც ვიყავით. ვაკვეთილების შემდეგ ეპარქიის სკოლების უფროსმა მელიტონ კელენჯერიძემ მოიწვია მოსალაპარაკებლად ადგილობრივი საზოგადოება და კრებას გამოუცხადა, რომ სკოლას თავის საკუთარი ადგილი არა აქვს, სკოლის შენობაც დიდ შეკეთებას თხოულობს და რამოდენად დაგვეხმარება საზოგადოება, რომ სკოლას საკუთარი ადგილი მოუპოვოთ, შენობა გადაიტანოთ და სხვა... ადგილობრივი მცხოვრებმა ბ-მა ვაშაძემ დიდის სიხარულით შესწირა სკოლას საშუამოთ საქმეო ადგილი; ამავე ვაშაძის ადგილზე სდგას დღემდის ეს სკოლა, ამიტომ ყველამ მადლობა გამოუცხადა ბატონ ვაშაძეს. გარდა ამისა სკოლის მმართველი ბლადოჩინი ა. ჩაჩანიძემ საზოგადოების მხრით შეპირდა სკოლების უფროსებს ას მანეთამდის შეგროვებას, უკეთუ თქვენ ორასს მანეთს გადადებთ ამ საქმისთვისაო. მ. მელიტონ კელენჯერიძემაც აღუთქვა სკოლის მმართველს და საზოგადოებას, რომ ვუშვამდგომლებ მაგ ფულების გადადების შესახებ. სადაც ჯერ არსო...

აშკარა

*** * * ს. ჯამო-ზოგი (ქართლი).** გამხეტებულა აშაყა. ამ თვის ოთხს ნაშუადღევს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ერთს ახალგაზდა კაცს და ქმრიან ქალს, თურმე რაღაცაზედ შურის ძიება ჰქონიათ ერთმანეთზედ. ამ ვაებატონს შეუხედნია ქალისთვის, როცა კოკით ხელში, წყაროზედ მიდიოდა წყლის მოსატანად და უკანვე დადევნებია როცა საბრალო ქალს კოკა წყლით აუშისა და მხარზედ შეუდგამს წამოსაღებად, მივარდინი და უთქვამს უნდა დამნებდეო, მაგრამ ქალი უარზედ დამდგარა. ამისთვის უკრავს საბრალოსთვის ხელი და წყალში გადაუგდია, წაუქცევია შიგ წყალში და ქვით თავ პირი დაუსისხლიანებია. როგორც ამბობენ, თუ ორი ქალი არ წასწრებოდა (ისინიც წყაროზედ მიდიოდნენ წყლისთვის) ამ საზიზარ სურათს და არ გამოეგლიჯათ ქალი ხელიდან, უნდა დაეხრჩო, თუ რმე, რომ ვერ გაიგებენ და გადა-

ვრჩებიო. ვაებატონი იმ დღესვე შეიპყრეს და მამასახლისის წარუდგინეს, რომელმაც თქმი შეაყენა. ამ ვაებატონს მას შემდეგ მოუქმედებია, რომ წინააღმდეგობა საბრალო ქალს თავ-პირი დასიგებია და ენაც ჩაფარდნია შემისაგან. ამ სოფელში (სულ ოსებია) არიან რამოდენიმე ვაებატონები რომლებიც ღოთობისა და ჩხუბის მეტს არას აკეთებენ. ვაი აქაური მეღუქნეების ბრალი ამათ ხელში. დათვრებიან ძალზედ მუქთად დუქანში (ფულის თხრენას ვუნ გაუბედავს) გამოვლენ გარეთ და დაეხეტებიან. ვინმე გამოვლელი თუ ნახეს აუტეხავენ ხოლმე აყალ-მაყალს და თუ შენი კირიმე არ ეძახეს, ეცემიან და კარგათ მიაშტრევენ ქვით თუ კეტით. აქაური ჩაფრები და თანაშემწე სტარონისა ღმერთმა შეინახოს; ამათ თუ კაცმა გადააკრევიან სასმელი არამც თუ დაუშლიან ჩხუბს; არამედ ათამამებენ.

ქობულას-შვილი.

*** * * ს. ზოგი (ქართლი).** ამხანაგობას დეპო. ეს, სწორეთ ერთი წელიწადია, რაც ს. გომში არსებობს: „გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის დეპო“, უნდა ვსთქვათ სიმართლედ, რომ კარგათ მიდის ჯერ-ჯერობით მისი საქმე, თუ ბოლოც კეთილა ექმნა: ბევრი ჩარჩის ოინბაზობას მოესპო დღე და წუთი სოფელი... ბევრი გლეხი შიისწრაფის „დეპოსკენ“, რადგანაც იმედი აქვთ, რომ არც არავინ უფარგისობით მოატყუებს და ფასის დაუკითხავათ, ერთ დაფასებაზედ იღებენ. ყველა ამ სიკეთესთან უფრო ის მოსწონთ გლეხობას, რომ თავზიანათ და ალერსიანათ ეგებებიან დეპოს გამგენი (გარდა ორის პატარეებისა) და ტკბილის ღმობიერის სიტყვით ისტუმრებენ მუშტარს კმაყოფილათ. ეს უფრო მისთვის მოსწონთ, რომ ამას მოკლებულნი არიან სხვა ჩარჩთავან და ნაცვლათ კარგი სიტყვისა, უშვერის სიტყვით ილანძლებიან საწყალი გლეხობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ალყავდება ნორჩი „დეპო“ და დიდ წარმატებაში წავა, თუ რომ მოთავენი არ მოილაღნენ, არ მოიწყინეს და მით ხელი არ შეუშალეს. ჯერ-ჯერობით სოფლებში არც კიარავინ იცის, თუ ამ დეპოში ამხანაგობაა და სვინდისიერი ვაქრობა სუფევს, ყველას ისევ სიხარულიძისა ჰგონიათ და სახელსაც იმისს ეძახიან; წინათ აქ სიხარულიძე ვაქრებათა და ბოლოს ამხანაგობამ შეისყიდა). აგრეთვე არც ის იციან, თუ დეპოში რა პირობები და რა წყობილობაა, ამის გამო ბევრი გაუბრბის შორს. გლეხებმა რომ არ იცოდნენ არ გაფანტყუნებთ, რადგანაც არც ჩვენ ვიცით კარგათ დეპოს პირობები, ბევრჯელ უკითხავთ ჩვენთვის, რომ რა ნაირათ არის იქ საქმეო, მაგრამ რას უპასუხებდით, როდესაც არა ვიცით-რა ამისი? ამისათვის მივმართავთ დეპოს გამგეთ, რომ ყველამ დაწვრილებით ვიცოდეთ, გამოაქვეყნონ გზეთში ყოველივე წესდება ხსენებული დეპოსი: რამდენია საქირაო ფულის შემოტანა, რომ წვერათ ითვლებოდეს? რა მნიშვნელობა

აქვს წვერს დებოში? კირანხელს შენახვის წეს-რიგი და სხვ. ყველა ესენი, რომ დაწერილებით გვეცოდინება. მაშინ ვინც გვეითხავს ყველას სრულად მოუყვებით და ჩავაგონებთ დევოს მნიშვნელობას და არც ჩვენ დავზოგავთ ჩვენს წვლილს. თუმცა როცა არსდებოდა იყო დაბეჭდილი ბ. როსიკოსაგან „ცნ. ფურც.“-ში მაგრამ ძალიან ყრუთ...

ალელი მედავითნე

* * * **დ. აბაშა** (სამეგრელო). გასაყვსუას ზარა. წლებადელი წელიწადი მთელს ქუთაისის გუბერნიის სამხსოვროა თავისი სასტიკი და ცუდი ზამთრით; ვერც სამეგრელო გადურჩა, რომ თავისი ძალა და გავლენა არ დემინა ზამთარს ყოველგვარის ხეხილის და მცენარეების მოსპობით. მარტის შუა რიცხვებს აქეთ ძლივს ფერი დაეტყო აქაურობას გაზაფხულისა, თუმცა-ღა მალ-მალე ცვლილება ჰაერისა ხელს უშლიდა ბუნების აყვავებას, მაგრამ აქამოდის ნახევრად ძლივს გამოიფურჩა ფოთლებმა, რომლებსაც-კი სიცოცხლე შერჩათ... ჩვენს საქართველო ყოველთვის ნაქები იყო ბუნების სიმშვენიერით და აბაშის ახლო-მახლო სოფლებიც საუცხოვო ბუნებას წარმოადგენს თავისი მოსავლის და ბუნებრივ-ხეხილების სიმდიდრით. ამას ზედ დაუმატეთ სამეგრელოს ნაქები ტურფა მანდილოსნები, თან გამრჯელი ყმაწვილ-კაცობა და ნამდვილი სამოთხე თვალ-წინ დავგებებთ.

ზემო მოყვანილის ზამთრისაგან დაღონებული ხალხი, რომლის წყალობით თითქმის საქონელიც არ შერჩა ქვეყნის მარჩენელ მუშა ხალხს, მაინც დიდი სიხარულით მიეგება ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას. ჩვენი დაბის ეკლესიაში აღდგომას მწირველი იყო მამა დ. კ—ვა, რომლის მოხდენილს ხმას ხელს უწყობდა ახალგაზდა მგალობელთა გუნდი. ეს მგალობელი ახალგაზდა მით უფრო საინტერესოა, რომ სასწავლებელში თითქმის არაფერი უსწავლიათ და სწორედ სასამოვნოდ გალობდნენ, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსნი არიან და იმედია კიდევ მცდელებიან გააუმჯობესონ ეს გალობა და ყოველთვის ატკობდეს მლოცველთა სმენას...

აქეთ წრეულს თითქმის ყველა ოჯახმა შეიძინა როგორც აბრეშუმის თესლი, ისე ბაბისა და იმედი უნდა ვიქონიოთ კარგი მოსავლისა, თუ ბუნებამ ხელი შეუწყოს.

ბან-ღან

* * * **ს. ჰვამოთიალი** (სამეგრელო) ქუდასა და აგადაქოფობა. ამ რამდენსამე თვის წინად ამ საზოგადოებამ ქურდობა და აკაცობა, ცოტად თუ ბევრად შემცირდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და ყველა იმას ამბობდა: ღმერთმა მოგვხედა, ქურდობა მოისპოვო. მაგრამ სათოკე ქურდ-ბაცას აბა რა ცოდვა მოასვენებდა. ამ წელში კიდევ გამოყვეს თავი და მიყვეს ხელი თავიანთ ხელობას. ამ თვის 23 მარტს

ერთს აქაურს მცხოვრებს კოსტა გვარამიას ბოქლომით დაკეტილი სახლი გაეტეხათ ქურდებს და მონარათ ერთი უღელი სანაქებო ხარი. ამ საწყალს წინა კვირას ურემი მოჰპარეს და ეხლა ხარბიც წარტაცეს. საბრალომ დაკარგულს ბევრი ეძება, მაგრამ ჯერ ვერ აღმოუჩინათ. ამავე საზოგადოების მცხოვრებს უ. ქა-იას შეიღებსაც 24 მარტს უღელი ხარი მოჰპარეს და იმავე დამსვე მთელი სოფელი ფეხზე დააყენა თოვების დარეგორელების სროლით, არიქა მომეხმარეთ დაკეინათი, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაგნო, ცამ ჩაყლაბა თუ დედაშიწამ. სწორედ სამწუხაროა ეს გარემოება, მით უფრო, რომ ეხლა ყანების ხენა-თესვა იწყება და ამ გვარ დროში, მუშა-კაცისთვის ხარის მოპარვა ყელის გამოქრია მთელის მისის ჯალაბობისა...

თებერვლიდან დაწყებული ამ საზოგადოებაში გამოუღვევლია სხვა-და-სხვა ავადმყოფობა. სხვათა შორის, უფრო საქმე გაჰქირა, კუქის და ფილტვების ანთებამ. როცა ექიმი ან ფერწალი მოგყავს ავადმყოფის სანახავად ამბობენ, ანთებით არის ავადო. ამ ავადმყოფობით არა ერთი და ორი მომკვდარი და ვინ იცის, კიდევ რამდენს არ გამოასალმებს წუთი სოფელსა. გარდა ამისა ყვავილი და კისერ ბატონებიც არის აქეთ. ყვავილს იმდენი ზარალი არ მოაქვს, რამდენიც კისერას. კისარამ უფრო მცირე წლოვან ბავშვებს გაუქირა საქმე და კიდევ იმსხვერპლა სამიოდე.

მარტმა კარგი ამინდები დაიქირა. ასე რომ ყოველი სულიერი არსება ხარობს მარტის მშვენიერის ამინდებით. მინდორ-ველი და ხეხილები აყვავდა.

ტელეფონი

შეხვედრის განხორცა

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თუმც გვიან მაგრამ მაინც გავსწავროთ ჩემი უნებლოთი შეცდამა: „გურიის აზნაგობის შუამდგომის წარმომადგენელთა კრების“ ანგარიშის დროს შეცდამით არის მოსწენებული ბ-ნ სპირიდონ შენაბდის სიტყვა: „ნე დაი ბოდ.“ ეს სკაუთარი ჩემი შეცდამა ჩემდა უნებურად შეპარულ ანგარიშში ნამდვილ შენაბდემ სთქვა: „ღმერთმა დაიცვას“ მართალია ეს სიტყვებიც ამისვე გამოთქმულია, მაგრამ რაკი ამ სიტყვებს შეტის-შეტი გრძელი კული გამოაბეს, შეტი აღარა დამრჩენია-რა ბოდიში მოვიხადო, როგორც რედაქციასთან ისე ბ-ნ შენაბდესთან მანატიკვით „რამეთუ კაცი ვარ“.

აბ. წულაძე

თეატრი და მუსიკა

ახალგაზდა მომღერალი მიხეილ ნანობაშვილი. ადრევე ვუწვევთ ჩვენს საზოგადოებას, რომ ამ ჟამად ჰეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლას ერთი ქართველი ემაწვიდო კაცი, რას შედიც ძალიან დიდს იმედებს იძლევისის, რომ დადგება გამოჩენილი არტისტი-მომღერალი. ესეა ჰეტერ-

ბურგიდგან ვატობინებენ, რომ მიხედ ნანობაშვილს ერთს კონსერტ-ზედ უმდერია და საზოგადოებაზედ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ჰეტერბურგის გასეთესაც აღუნიშნავთ ეს გარემოება. ამათის აზრით მიხედ ნანობაშვილს „ძალიან იშვიათი“ ხმა აქვს.

წერილი აშეხი

მდიდარ ოინბაზთა ანდერძები. Leipziger Tageblatt ვგავამბავს შემდეგ უნებურად აღვძვ. რამდენაქ წლის წინად ზარაში კარდაცვალებულმა ბარონმა ნ. — მ უანდერმა 150,000 ფრანკი თავის სავარჯელ ძაღლს, სახელად „გუფის“. ანდერძის მიმდემის სურვილით, ძაღლისთვის ზარაზის მიდამოში აქმსა ხელი და სახლი, სადაც ოთხთუხი შეპყვიდრე სცხვარობს და სარკებლბოს სრულის თავისუფლებით, რამდენიმე სხვა საზოგადოებაში. მასთან დაუკუბული დარაჯი და კეონბმის ქალი იღებენ ყოველ-წლიურ ჟამაგარად 2,500 ფრანკამდინ და ვადადებულნი არიან აზრუნონ „ვილასა მცხვარებლებზედ, ჰეგებონ ზარტუენი, მოუარონ და სახლში სისუფთავე და წესიერება დაიცვან. ამ მისხურთათვის, რა თქმა უნდა უკეთესია, რომ „გუფისმა“ რაც შეიძლება დადხნობამდის იცოცხლოს, რადგან იმის სიკვდილის შემდეგ მათი შემოსავალიც შესწევდეს. ბარონის სურვილით, ვილას ყოველ თავისი კუთვნილებით გაუიღულ იქმნება 1,000 ფრანკად; ადებული ფული დანიშნულია „გუფის“ ძეგლისთვის; რაც ძეგლს ფული გადარჩება, შეუწირება ზარაზის „ზარტუენთა მფარველ საზოგადოებას“. ერთმა მდიდარმა ვაჭარმა ქალმა ზარაში თავისი სიკვდილის-წინ გამოსთქვა სურვილი: ჩემს სოფლაზედ ორ-ბესტრს ვაღსი დაუკარათო. მაგრამ რადგან საეკლესიო უწყებამ ეს თავის ნებართვა არ მისცა ამ უნებურ სურვილის ასრულებას. ნათესავებმა უბრძანეს დაკრათ ვაღსი მიცვალებულის სახლში მის თავ-ანდილ კუბოზე.

ერთმა მოხუცმა მდიდარმა უცხოელ კაცმა, რომელსაც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ხმხრეთ მხარე ზატარა ქალაქში გაეტარებინა სიკვდილის დროს მთელი თავისი ქონება ოთხს თავის მეგობარს უანდერმა და მათ ზიარობა, ჩამართვა, უბრძანეთ დაწვან ჩემი გვამოა ამა და ამ მთის მწვერვალადან ქარს გაატანეთ მისი ნაგარი, შემდეგ კი ჩემ სახელთანაზე დახინი გამართეთ.

ერთი ამერიკელი მდიდარი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლეში სიბნელის ეშინოდა და რომ ეს შიშის გრძობა სიკვდილის შემდეგაც არ შერჩებოდა, თავის ანდერძში სკანკებოდ დანიშნა რამდენიმე ფული, რომლითაც მისი გვამი ელექტრონის სინათლით უნდა განათებინათ და ასეთი განათება უნდა გაგრძელებულიყო მთელი ერთი წელიწადი.

მიხეილ კინაძე

განცხადებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება ფას-დაკლებით გრ. ტატიშვილის შემდეგი სურათებიანი საყმაწვილო გამოცემანი: 1, **გაღმები** 10 კ.

2, **სუფარა სკილოძე** 10 კ.
3, **კათილი ძალი** 10 კ.
ვინც ერუბაში იყიდეს ანაწილებ 50 ცალსა, წიგნის დანთობა 8 **გაღმები**
აქვე იყიდება ფოსტის ქაღალდი ერეკლე მეფისა და ი. ჰაგუვაძის სურათით, ექვსი თაბახი — 10 კ. (10—7)

Первоклассные Велосипеды
„**ЭНФИЛЬДЪ**“
Главный Склад для оптовой и розничной продажи Торговый Домь **ДЕВИСЪ и АЛЕКСЬЕВЪ**
МОСКВА, Рождественка, ут Кузнец. м.д. Третьяковских. ТРЕБУЙТЕ КАТАЛОГИ.

ЕЖЕМЪСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКИЙ И НАУЧНЫЙ ЖУРНАЛЬ

„РУССКОЕ ОБОЗРЪНІЕ“

(Годъ девятый).

Книга II (Февраль).

СОДЕРЖАНИЕ:

I. „Словесная кроха хлѣба“. Повесть. Кохановской (Н. С. Соханской). Съ предисловіемъ С. И. Пономарева.—II. „Годы службы Н. П. Гилярова-Платонова въ Московскомъ Цензурномъ Комитетѣ. 1859 годъ“. Гл. VI. Князя Н. В. Шаховскаго.—III. „Невинная игра“. Повесть. Гл. VIII—XIII. А. В. Стернъ.—IV. „Путешествіе Антіохійскаго патріарха Макарія въ Россію въ половинѣ XVII в., описанное его сыномъ, архидіакономъ Павломъ Алепп-кимъ. Кн. IX. Гл. V—XI. (Переводъ съ арабской рукописи. Проф. Г. А. Муркоса).—V. „Въ этотъ храмъ закрыта дверь“... Стихотвореніе К. Н. Льдова.—VI. „Янъ Колларъ, гѣвѣць „славянской взаимности“. Проф. Т. Д. Флоринскаго VII. „Пидъ разными флагами“. Романъ. Гл. V—VI. Э. Ромера.—VIII. „Классицизмъ, какъ необходимая основа гим. назическаго образованія“. Часть вторая. Историческій очеркъ развитія средняго образованія въ Германіи. Гл. III—IV. Графа П. А. Капниста.—IX. „Бду ли слѣдомъ туманнымъ, равнинною снѣжною“... Стихотвореніе. Н. О. Плахова.—X. „Путешествія по Россіи великаго Царя-Миротворца Александра III Александровича“ Гл. II Второе путешествіе по Россіи Государя Наслѣдника Александра Александровича (юль—августъ 1865 г.). А. А. Шевалева.—XI. „Изь далекаго прошлаго“. VI. Изъ тревожной эпохи. Гл. I. На згаѣхъ. П. П. Суворова.—XII. „Сотрудники князя А. Чаргорыйскаго“. Ю. О. Крачковскаго.—XIII. „Рѣчь снѣгъ, темна дорога“... Стихотвореніе О. Е. Сологуба.—XIV. „Блины“ Правдивая исторія. В. С.—XV. „Владимірская женская община“. Свящ. І. И. Соловьева.—XVI. „Зимой“. Стихотвореніе. Г. Арищенко.—XVII. „Неравный бракъ“. Повесть. Ф. Эвартъ. (Переводъ съ нѣмецкаго О. И. Прибытковой).—XVIII. „Матеріалы для характеристики русскихъ писателей, художниковъ и общественныхъ дѣятелей“. Докладная записка въ Московскій Цензурный Комитетъ (26 іюня 1859 г.). Цензора Никиты Гилярова-Платонова.—XIX. „Высокопресвященный Сергій, митрополитъ Московскій и Коломенскій (Некрологъ). I. Ф.—XX. „Критика“: Жизнь и поэзія Н. М. Языкова. В. Смирнова.—XXI. „Библиографія“: 1) Церковное зодчество. 2) Исторія 3) Общественная жизнь. 4) Народное хозяйство 5) Справочники. XXII. „Внутреннее обозрѣніе“: Выходка Орловскаго губернскаго земства противъ религіознонравственнаго просвѣщенія народа.—Налогъ на нужды государственныя и на нужды мѣстныя.—Невъротная тягость земскаго обложенія.—Невозможность допускать ея увеличеніе.—Фикція самообложенія населенія и ограниченіе обложенія законодательнымъ путемъ. А. И. Елишева.—XXIII. „Иностранное обозрѣніе“. Не-дипломата.—XXIV. „Рѣчь славянскимъ гостямъ. А. Н. Штиглица.—XXV. Книги, поступившія въ редакцію.—XXVI. Объявленія.—XXVII. Приложение: „Крестоносцы“. Историческій романъ. Гешрика Сенкевича. (Переводъ съ польскаго А. І. Чичаговой).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА (въ предѣлахъ Имперіи) съ пересылкой и доставкой: на годъ—15 руб., на полгода—7 руб. 50 коп., на 3 мѣсяца—3 р. 75 к., на 2 мѣсяца—2 р. 50 к., на 1 мѣсяцъ 1 р. 25 к.

Для лицъ духовнаго званія, для г.г. преподавателей высшихъ, среднихъ и низшихъ учебныхъ заведеній, для лицъ военнаго сословія и для учащихся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ подписная цѣна 1 годъ—11 руб., 6 мѣс.—6 руб., 3 мѣс.—3 руб., 2 мѣсяца—2 рубля, 1 мѣс.—1 р. Правительственныя и общественныя учрежденія всѣхъ вѣдомствъ, полковыя бібліотеки, военныя собранія, а равно и лица, состоящія въ отъѣхъ на службѣ, могутъ получать журналъ въ кредитъ, заявивъ о семъ конторѣ журнала черезъ свои канцеляріи. Съ пересылкой за границу 18 рублей.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: Въ конторѣ журнала и во всѣхъ книжныхъ магазинахъ. ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ: Въ отдѣл. конг. журнала—при книжн. магаз. Н. Фену и К°, Невскій, домъ Армянск. церк., № 40, и въ бібліот. Семеніи-кова. Василевскій Остр., 6 линія, д. № 25 Здѣсь же производится продажа отдѣльн. №№ журнала. Подписка принимается и въ другихъ городахъ и во всѣхъ лучшихъ книжныхъ магазинахъ. Подписку съ разсрочкой платежа просятъ адресовать исключительно въ контору редакціи. Книги журнала за всѣ 7 лѣтъ съ его основанія (1890—1896 г.г.), продаются въ конторѣ редакціи по 5 руб. за годъ. За пересылку доплачивается на мѣстѣ по разсчету. Выписывающимъ всѣ семь лѣтъ—пересылка на счетъ редакціи. Письма телеграммы, рукописи и послыки адресуются текъ: *Москва, редакція Русскаго Обозрѣнія*. (Тверской бульваръ, домъ Яголковскаго) Редакторъ-издатель **АНАТОЛІЙ АЛЕКСАНДРОВЪ**.

(3—3)